“ გვნთიავლ შეიგმინთ გმიგვ ჩემიგვ, გვნთიავლ წვლეგლგე შეინლავ ლავ გეჩვენთ შეინ ”

ახალი

ჯარისკაცი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძველს გული,,

ჯარისკაცი

89-ე წელი თჯვენთვნ ელითვლ!

2020 წელი 30 აპრილი № 4 № 8157

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა 3ვ2.

დრო ქველმოქმედებისა 3ვ3.

ვირუსის საწინააღმდეგო პრევენცია 3ვ3.

ომის ვეტერანებს სასურსათო პაკეტები 3ვ3.

მუშაობის საგანგებო რეჟიმში 3ვ2.

სანამ სპორტდარბაზები კარებს გაალებენ 3ვ7.

მამულო, სიცოცხლეო! 3ვ3.

აპრილი ჩვენი 3ვ3.

თვითიზოლაციაში, როგორც ცხრეში ... 3ვ2.

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 3ვ2.

მსოფლიო პანდემიის პირისპირ 3ვ5-6.

გაიცანით გიგა ტატიაშვილი 3ვ6.

“ ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“ 3ვ4.

საფეხბურთო ტურნირების განახლებას გეგმავენ 3ვ7.

როლიც მოვერილოთ ცვყოთვრ თვენ ვნუ ითვიკრეთ თვიკრეც ლრეთ 3ვ8.

ქართველი ექიმი, რომელიც 24 საათი რეანიმაციაშია და პაციენტს უვლის – წყალი მინდა

89-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგროვდება, იბეჭდება რეიონის ძველებრივად, ცხრეს ვრ ყველა ყვითელ ჭრიალა ქაღალდზე ჩვენი ცხოვრების შეყოვმეზეზელ მეცივნენ ... გვსლით ჩვენი მკითხველი!

თვითიზოლაციაში, როგორც სარკეში ...

სადაგი დღეები გვამზადებენ დღესასწაულებისათვის. მოლოდინი იტევს და ინახავს ცოდნას და გამოცდილებას, პასუხებს კითხვებზე.

დღეების რიგი თავისდაუნებურად უკუაგდებს ყალბს, ნათამაშებს, უგულოსა და უსრულს. ერთი სიტყვით, მეხსიერება ინახავს საუკეთესოს, დროით გამოცდილს. თუ ზემოთქმულს გაიაზრებ ფსალმუნში წაკითხული - "ათასი წელი წინაშე თვალთა შენთა, უფალო ვითარცა გუშინდელი დღე" შეიძენს საჭირო მუხტს და შენს სიმშვიდეში მიხვდები რომ ჭეშმარიტად! - "უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს რაი მიყოს მე კაცმან?"

მართალი, რომელსაც მწე და მფარველი მხოლოდ ღმერთი ჰყავს, თანდაყოლილი გულუბრყვილობით ფიქრობს, რომ ყველა წინაღობას გადალახავს ...

და სწორედ მნიშვნელოვან მომენტში ავიწყდება, რომ მელა-ტურათა რაოდენობა მათემატიკური პროგრესიით იზრდება ჩვენს გარშემო. ყველა თავის სარგებელს ეძებს მატერიალურსა თუ უსაგნოს, მაგრამ მაინც სარგებელს.

დასაწყისშივე უნდა შევთანხმდეთ, იგავის ენას მაშინ მიმართავენ, როცა ერის ცხოვრებაში გარდამავალი ხანა იძენს გარდაუვალ წინაღობებს. ისტორიული მეხსიერებით ცნობილია, რომ ეპოქათა მიჯნაზე დაწყებული გამოსავლის ძიების პროცესი ააქტიურებს ეროვნულ თვითმყოფადობას და სულიერ მისწრაფებებს. მაგრამ? განსწავლის ხარისხი დამოკლეს მახვილივით დაჰყურებს მომავალს.

ნებისმიერ გზაგასაყარზე არსებობს იმედი საოცნებო რეალობის შექმნისა, არსებობს სიკეთისა და სამართლიანობის განცდა და სულ გვინდა, რომ არ დაგვტოვოს გარემოს ობიექტურად შეფასების უნარმა. ეს შიგნით - გონებაში, გარეთ კი სრული სიმაღლით დგება მონობისა და თავისუფლების დილემა, რომელსაც ყველა წარსულით ანუ თავისი ცხოვრების გამოცდილებით "უმკლავდება".

თუ ანტიგმირების გაგებას ვაპირებთ, ჯერ საკუთარ გმირობას მივხედოთ - უკეთესის სურვილს ხომ არ ტოვებს ჩვენი ცხოვრების წესი? გვაქვს სიკეთესა და ბოროტებაზე დავის უფლება?

სიკეთე განყენებული წარმოდგენა არ გახლავთ.

რეალურ მოქმედებასა და საფუძველს განყენებული ქველმოქმედება უნაყოფობისათვისაა განწირული.

იყო დრო, ქვეყნები ძნელად პოულობდნენ ზღვარს ანარქიასა და თავისუფლებას შორის (დამოკლეს მახვილზე ზემოთაც მოგახსენეთ!). დღეს ნუ გაგვალიზიანებს თუ სხვას განსხვავებული ტემპერამენტი და მსოფლმხედველობა აქვს. ეს ჩვენი დროის (თავისუფლების ეპოქის) ანარქიაა. მოდით, დავფიქრდეთ ჩვენს გვერდით ხომ არ მომრავლდნენ (მსუბუქად რომ ვთქვათ) საკუთარ სიმცირეს ვერ მორეული ადამიანები, თამამად (უთამამესად!) რომ მოიაზრებენ თავს ზოგადსაკაცობრიო მოვლენად. ასეთები მზად არიან საზოგადოებამ აღიაროს ისინი, როგორც ცნება. შეიძლება ასე ჩამოყალიბებულად ვერ მოგახსენონ მაგრამ: ქვეყნის სიკეთე მხოლოდ მათი სახლის შიგნით უნდა დატიონ. გახსოვთ ლუი XV-ის ცხოვრების დევიზი "ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა!" აუხდა ლუის წინასწარმეტყველება, მის ქვეყანაში შენელებული "წარღვნაა".

ფეისბუკ ეპოქა უფრო მკაფიოდ აჩენს ადამიანთა ყოფას, განსწავლულობასა თუ პირიქით უკიდეგანო უსწავლელობის შედეგს. ილიას "ივერიაში" "მე ვარ და ჩემი ნაბადი" ჩარჩმედროვეთათვის მათრახი იყო.

დღეს არ გვჭირდება მსგავსი, სარკის მაგივრად თანამედროვენი (გარკვეული ნაწილი) ფეისბუკში "იპრანჭებიან". ახალი საუკუნის პირმშო "ფეისბუკი" ხასიათის რენტგენით ასახავს დროსა და ინდივიდს.

სიკეთე, პატიოსნება, მოყვასი, თავდადება, მამულიშვილობა არ წარმოადგენს ადამიანის ოცნებას ამ ცნებებზე. იქამდე მივედით, დღევანდელობაში "ვინმე"(!) უფრო პოპულარულია და საგულისხმო, ვიდრე შოთა რუსთაველი... მაგრამ მკაცრი და სამართლიანი დრო ყველას მიგვიჩენს დამსახურებულ ადგილს.

და კიდევ, საზოგადო სივრცეში თუ გაგების უნარმა მიგატოვა ნუ დაემდურები ბედს! ბრძენნი გვასწავლიან - ხეს თუ ვეჯახებით, რა შუაშია ხე?

ნანა მერებაშვილი.

სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა

კორონავირუსის პრევენციის მიზნით კასპის მუნიციპალიტეტში მთელი ღამის განმავლობაში მორიგი სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალიზებულმა ტექნიკამ და სპე-

ციალისტთა ჯგუფებმა სპეციალური ხსნარებით დაამუშავეს ქალაქის და ადმინისტრაციული ერთეულების ქუჩები, მისასვლელი გზები და თავშეყრის ადგილები.

სამუშაოების მიმდინარეობას შიდა ქართლის მხარის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, მისი პირველი მოადგილე სიმონ გულედანი, კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტატანაშვილი, მოადგილე ზაზა მარიდაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე ესწრებოდნენ.

სადეზინფექციო სამუშაოები, რომელიც მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით განხორციელდა, მომავალშიც გაგრძელდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ.

კასპის მუნიციპალიტეტში 366 დევნილი ოჯახი ცხოვრობს; მათ შორის კასპის, სოფელ თელიანისა და მეტეხის კომპაქტურ დასახლებებში 315, კერძო სექტორში 51 ოჯახი.

სასაჩუქრე ვაუჩერის ღირებულება 70 ლარს შეადგენს.

მადლობა

მუშაობის საგანგებო რეჟიმში

კორონა ვირუსის გამოწვევის წინააღმდეგ სწრაფი და ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების გატარება დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ნანა ნონიაშვილი მაღალი პასუხისმგებლობითა და ოპერატიულობით ზრუნავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე 24 საათიან რეჟიმში, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მას.

ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტატანაშვილი.

აპრილი ჩვენი

9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ორ მნიშვნელოვან მოვლენას აერთიანებს - 1989 წლის ტრაგედიასა და დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წელს. რუსული ჯარის სადამსჯელო აქციამ, 21 ადამიანის სიკვდილმა საყოველთაო დაუმორჩილებლობა გამოიწვია, რაც საბოლოოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

9 აპრილი საქართველოს ისტორიაში გამორჩეული დღეა. 1989 წლის 9 აპრილის ღამეს მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს, ზუსტად



ორი წლის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა.

1991 წლის 9 აპრილს თბილისში, მთავრობის სასახლეში, 12 საათსა და 30 წუთზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხელი მოეწერა აქტს. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერთა შორის იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, კასპის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერიან შარიქაძე.

„მამულო, სიცოცხლეო!„

კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 9 აპრილს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ბიუსტი ყვავილებით შეამკეს.

ეს დღე საქართველოს ისტორიაში ორ მნიშვნელოვან მოვლენას აერთიანებს - 1989 წლის ტრაგედიას და 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენას. ჩვენ ქედს ვიხრით მათ წინაშე, ვინც საკუთარი სიცოცხლე ქვეყნის დამოუკიდებლობას შესწირა - აღნიშნეს კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტატანაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ.

ვირუსის საწინააღმდეგო პრევენცია

ტარდება კორონა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები. ა(ა)იპ კასპის კეთილმოწყობის სამსახურმა დაასრულა ქალაქის მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სადარბაზოების სადეზინფექციო სამუშაოები. დეზინფექცია ჩაუტარდა 57 მრავალსართულიან ბინას. ვირუსის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები საჭიროებისამებრ მომავალშიც გაგრძელდება.

დრო ქველმოქმედებისა

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის და კერძო სექტორის თანამშრომლობით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ 70 წელს გადაცილებულ მოხუცებს და მრავალშვილიან ოჯახებს საკვები პროდუქტები გადაეცათ.

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტატანაშვილმა, მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ ბენეფიციარებს პროდუქტები ბინაზე მიუტანეს.

მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის კასპელ მოქალაქეებს: იზა აბუაშვილს, ირმა კიტრიაშვილს, ნუკრი ბახუაშვილს, ნინო და ზურაბ ნონიაშვილებს გაწეული ქველმოქმედებისთვის.

ომის ვეტერანებს სასურსათო პაკეტები

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი საქველმოქმედო აქცია ჩატარდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტატანაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს სასურსათო პაკეტები გადასცეს.

კასპელი მოხალისეები უმწეოთათვის

მიმდინარეობს უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოს ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება, რომელსაც კასპელი მოხალისეები ახორციელებენ.

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტატანაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე სასადილოში ახალგაზრდა მოხალისეების მუშაობას გაეცნენ.

მოხალისეები 80 ბენეფიციარის ბინაზე მომსახურებას საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე გააგრძელებენ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

“ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“

XX საუკუნის 70-იან წლებში ბავშვებს უმეტესად სახლში გვნათლავდნენ. კომუნისტებმა ქართველ საბჭოთა ხალხს იძულებით დაავიწყეს ტაძარში სიარულიც, თავიანთი მთავარი ქრისტიანული დღესასწაულიცა და დიდმარხვაც, რომელიც მორწმუნეებს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომასთან შესახვედრად ამზადებს. მაშინ, ისიც ცოტას თუ ახსოვდა, რომ კვერცხის წითელი ფერი მაცხოვრის მიერ ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად დათხეული სისხლის მოსაგონარია, კვერცხი კი სამყაროს მთლიანობისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო.

ღამის ლიტანიობასა და ცისკრის ლოცვაზე დასწრების მაგივრად, აღდგომა დღეს ყველა წინაპრებისა თუ გარდაცვლილი ახლობლების სასაფლაოზე მიდიოდა, წითელ კვერცხს მიწაზე “დააგორებდა“ – ეს ჭირისუფლის მთავარ სააღდგომო მოვალეობად მიიჩნეოდა; ზოგი სანთელსაც ანთებდა.

ასე გრძელდებოდა ათწლეულების მანძილზე. მერე, როცა მორწმუნე ადამიანებმა თანდათანობით დაიწყეს ეკლესიაში სიარული, უმაღლესმა სასულიერო პირმა თავის ხალხს შეახსენა: აღდგომა ზეიმია, ამ დღის სიხარულს მიცვალებულები ჩვენთან ერთად იზიარებენ, ხარობენ, ჭირისუფალნი კი მათ უკან, საფლავებში ვაბრუნებთო. ამის შემდეგ საფლავზე ქართველებმა უკვე ორშაბათს დაიწყეს გასვლა.

ადგილი, სადაც სიკვდილი დაითრგუნა

მართლმადიდებელთათვის (ქართველებისთვისაც) ქრისტეს მიერ სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა, მკვდრეთით აღდგომა უფრო დიდი აღტაცების მომგვრელია, ვიდრე მაცხოვრის განკაცება (ქვეყნად მოვლინება) ანუ შობა.

აღდგომა მართლმადიდებლური მისტიკის უდიდესი ზეიმია. აღარავინ დავობს იმაზე, რომ მართლმადიდებლობა აღმოსავლური ქრისტიანობაა; ქართველები კი დღესასწაულთა უპირატესობის აღიარებაში უფრო აღმოსავლელები აღმოჩნდნენ, რადგან სიკვდილისადმი დამოკიდებულების ფილოსოფიაც მათთვის თითქოს საზეიმო, ერთგვარად არარაციონალური ელფერით არის აღბეჭდილი. ასეთ მსოფლაღქმაში უთუოდ იკითხება მაცხოვრის მიერ კაცობრიობისათვის ჯვარცმისა და აღდგომის რემინისცენცია. “ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები: “მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვკრებ კიტრად, ბერად, / ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“, – მეორე ადამიანისათვის კეთილშობილური თავგანწირვის ამაღლებული სურვილიც გარკვეულწილად მხიარულ, დღესასწაულებრივ სიკვდილზე მინიშნებაა და სწორედ ზემოხსენებული ფილოსოფიითაა გამსჭვალული; რადგან ის, ვინც სიცოცხლეს სწირავს, სიკვდილის მერე ხელმეორედ იშვება სასუფეველში, ანუ მარადიულ სიცოცხლეს მოიპოვებს.

აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის დღე 325 წელს გამართულმა ნიკეის საეკლესიო კრებამ დაადგინა. იგი მოძრავია და ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობის შემდგომ, სავსე მთვარის მომდევნო კვირადღეს, ებრაული პასექის სწორს. მეცნიერთა აზრით ქრისტიანული აღდგომა სწორედ ებრაული პასექიდან იღებს საწყისს. ამ დღესასწაულს ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ ებრაული მესაქონლე ტომები გაზაფხულზე აღნიშნავდნენ – საძოვრების ნაყოფიერებისათვის ისინი ბატკანს სწირავდნენ მსხვერპლად, ხოლო ძველი წელთ. აღ-ის XIII საუკუნიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ებრაელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, პასექი უმნიშვნელოვანეს საღმრთო დღესასწაულად იქცა. მოგვიანებით კი, პასექს შეერწყა ებრაელი ხალხის მხსნელის (მესიის) მოსვლის იდეა.

ადგილი იერუსალიმში, სადაც სიკვდილით სიკვდილი დაითრგუნა, სადაც მამამ ძეს მისი კუთვნილი თასი არ ააცილა, არის გოლგოთა, ანუ აღდგომის სავანე. ახ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეში აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იქ, სადაც ჯვარს აცვეს და დაფლეს მაცხოვარი, ბაზილიკა ააგო. შემდეგ ამ ადგილას მრგვალი ტაძარი აშენდა – წმინდა გოლგოთისა და აღდგომის ეკლესია, ასევე სხვა ნაგებობები.

მაცხოვრის აღდგომის სავანე მთელი საქრისტიანოსათვის წმიდათა წმიდა ადგილად მიიჩნევა. მის პატრონობას არა მხოლოდ ქრისტიანი ერები ეცილებოდნენ ერთიმეორეს, არამედ მაჰმადიანებიც. აღდგომის სავანეში დროდადრო ძლიერდებოდა ქართველთა გავლენა.

ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შემდეგ, მაშინ როცა საქართველო გაერთიანდა და გაძლიერდა, აღდგომის სავანე ქართველთა ხელში იყო. XI საუკუნეში ჩვენს წინაპრებს აქ საკუთარი ეპისკოპოსიც ჰყოლიათ, რომელიც საისტორიო წყაროებში გოლგოთელადაა მოხსენიებული. აქ ქართველ მოღვაწეებს დიდი მწიგნობრობაც გაუჩაღებიათ. “სანახებსა წმიდისა აღდგომისასა“ მრავალი წიგნი დაწერილა თუ გადაწერილა.

ქართველები თითქმის მუდამ მიიჩნეოდნენ “მფარველად და ქტიტორად“ გოლგოთისა და აღდგომის სავანისა. თუმცა იქ მყოფებს ერთთავად უწევდათ ბრძოლა თავიანთი უფლებებისა და კუთვნილი მიწების დასაცავად. ამას ხშირად წერილობითაც აფიქსირებდნენ (მაგ., “გოლგოთის სვინაქსარი“). “ძეგლი ერისთავთა და სხვა ისტორიული წყაროები” (უცხოური თუ ქართული) მოგვითხრობენ, რომ XIV საუკუნის 20-იან წლებში ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტე მოუპოვებიათ და ერთი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ მას.

აღდგომის სავანის – მაცხოვრის საფლავის ყველაზე დიდი მისტიკური საიდუმლო, რომელსაც “ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“, არის ცით გარდამოვლენილი ღვთაებრივი ცეცხლი – კიდევ ერთი დასტური დათრგუნვილი სიკვდილისა, ცოდვების დამარცხებისა, ცათა სასუფევლის არსებობისა და თვით აღდგომის ჭეშმარიტებისა.

რა მოხდა საქართველოში აღდგომის შემდეგ?

მცხეთა ერთ-ერთი პირველი ქალაქთაგანი იყო, სადაც ახალ რელიგიას თავიდანვე, ჯვარცმიდან უახლოეს ხანებში გულმხურვალე მორწმუნენი გამოუჩნდნენ. I საუკუნეში მცხეთაში ისრაელის მიწიდან დევნილ ებრაელთა მრავალრიცხოვანი თემი სახლობდა. მცხეთელი ებრაელები ხშირად მოგზაურობდნენ ისტორიულ სამშობლოში. ისინი ღირსეული მოქალაქეები იყვნენ, თვით ქართლის სამეფო კარზე დაფასებულნი. სწორედ წარჩინებული ებრაელები იქცნენ ქართლში პირველ ქრისტიანებად.

მრავალი წყაროს დამოწმების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: “ცხადია, რომ ქრისტიანობა საქართველოში ადრითგანვე უნდა გავრცელებულიყო, გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე იგი IV საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა ცნობილი“.

I საუკუნეში მეფე ჰეროდეს მოწოდებით მთელ მსოფლიოში გაბნეულ ებრაელთა მრავალი წარმომადგენელი იერუსალიმში გაემგზავრა, რათა ენახათ “ცრუწინასწარმეტყველი“, რომელიც საკუთარ თავს სამყაროს მხსნელსა და ღმერთის ძეს უწოდებდა. მანამდე ქართველ ებრაელებს უკვე სმენოდათ, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემელმა მონათლა და ამ დროს სასწაულებიც მოხდა: მდინარეები აღმა წავიდნენ, ზღვის მიმოქცევა შეწყდა, ამოძრავდნენ მთები და სხვა.

ჰეროდეს სურდა ეს კაცი არა მხოლოდ იუდეის მცხოვრებთ შეეჩვენებინათ, არამედ ისრაელის სხვა ტომთა შთამომავლებსაც. ამიტომაც სხვა ქვეყნებს შეფარებული ებრაელები იერუსალიმს გაემგზავრნენ. “შატბერდის კრებულის“ მიხედვით ქართველი ებრაელები მაცხოვრის ჯვარცმას დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ეს ორი ადამიანი შემდგომში ქართული საისტორიო მწერლობის, ჰაგიოგრაფულ ნაწარმოებებისა თუ ფრესკული მხატვრობის პერსონაჟებად იქცა.

ელიოზ მცხეთელის მოხუცმა დედამ შვილის გამგზავრებამდე იცოდა, რომ ახდა ბიბლიური წინასწარმეტყველება და ღმერთი განკაცდა... იერუსალიმში მიმავალს იგი შეევედრა, რომ ელიოზს არამც და არამც არ ჩაედინა მომაკვდინებელი დანაშაული და იესო ქრისტეს ჯვარცმაში არ გარეულიყო, რადგან ის იყო მხსნელი სოფლისა, ძე ღვთისა. როგორც საისტორიო წყაროები იმეორებს, ელიოზს მართლაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია მაცხოვრის ჯვარცმაში.

ქართლიდან წარგზავნილი ებრაელები იმ მოვლენის დამკვირვებლებად გვევლინებიან, რომელმაც სამყარო შეცვალა... შემდეგ კი, როცა “კვართსა ... ზედა განიგდეს წილი”, მასში ელიოზ მცხეთელიც გაერია. ხელთუქმნელი კვართიც სწორედ მას ერგო. ქართველი ებრაელები ქართლისკენ გამოემართნენ და ქრისტეს აღდგომიდან ძალიან მალე სიწმინდე მცხეთას მოაბრძანეს.

ელიოზის მოხუცი დედა გარდაცვლილიყო. მოგზაურს შინ მართლმორწმუნე და – სიდონია ელოდებოდა. ელიოზ მცხეთელმა მას უფლის შესამოსელი გადასცა. ქალმა კვართი გულზე მიიხუტა, ემთხვია და ცრემლით დაალტო, მერე კი უმალვე სული განუტევა. მას ისეთი ძალით ეპყრა ხელთ ქრისტეს სამოსი, რომ მისი გამორთმევა ვერავინ შეძლო. ხელთუქმნელ კვართს თვით მეფეც (ქართლის ცხოვრების ცნობით ადერკი, იგივე მიჰრდატი) მოუხიბლავს, მაგრამ სასწაულებრივად ჩაბღუჯული ქსოვილი ვერარა ძალამ განაცალკევა ებრაელი ქალის ხელთაგან. ამიტომ სიდონია ძმამ ქრისტეს პერანგთან ერთად დამარხა.

საფლავზე განსაცვიფრებლად მძლავრი და ლამაზი ხე ამოვიდა. ქართლის ცხოვრება მას ლიბანის ნაძვს უწოდებს, რომელიც უიშვიათეს კეთილსურნელებას აფრქვევდა. იქ, სადაც ოდესღაც ებრაელთა სასაფლაო იყო, სამი საუკუნის შემდეგ უკვე სამეფო ბაღი და სასახლე მდებარეობდა. სწორედ ეს ადგილი დასახა წმ. ნინოს რჩევით ეკლესიის ასაშენებლად ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ – მირიანმა. კვართის დაფვლის ადგილზე ამოსული ხისაგან ამ ქვეყნის პირველი ქრისტიანული ტაძარი, სვეტიცხოველი აშენდა. იგი მაცხოვრის საფლავზე აღმართული ეკლესიის სიმბოლოდ იქცა. მას შემდეგ უკვე 21-ე საუკუნეა ვევედრებით - შემოქმედო! შესავედრებელო ჩვენო, და მხსნელო ჩვენო შეგვეწიე ჩვენ!

მარინა ყიფშიძე.

მსოფლიო ჭირდემიის ჭირისჭირ

დასასრული გვ-6.

საქართველო მსოფლიოს ნაწილი გახლავთ და რასაკვირველია, პანდემიის წინააღმდეგ გლობალური მასშტაბით დაწყებული საგანგებო მდგომარეობა ჩვენს რეგიონზეც აისახა...

კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მარტის პირველივე რიცხვებიდან ქალაქისა და სოფლების ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში გამოცხადდა ეგრეთ წოდებული, პანდემიასთან დაკავშირებული "არდადეგები".

– ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საბავშვო დაწესებულებებში დროებით შეჩერდა სააღმზრდელო პროცესი, დიახ, უკლებლივ ყველა, ქალაქისა თუ სოფლების საბავშვო ბაგა-ბაღი დროებით დაიხურა, – აცხადებს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, – ამდენად, მოულოდნელ არდადეგებზე მყოფი, შინ დარჩენილი ჩვენი აღსაზრდელები, მათივე უსაფრთხოების გათვალისწინებით, "თვითიზოლაციაში" აღმოჩნდნენ. თუმცა, ბავშვებთან, მათ მშობლებთან ურთიერთობა არანაირად არ შეგვიწყვეტია. გასაოცარი და არნახული ორგანიზებულობა გამოამჟღავნეს ბაგა-ბაღების გამგეებმა, აღმზრდელ-მასწავლებლებმა, დაწესებულებების თითოეულმა პერსონალმა, საქმე ის გახლავთ, რომ არდადეგების დაწყების პირველ ეტაპზე ბაღებში უსწრაფესად შესრულდა სამთავრობო დავალება, რომლის მიხედვითაც რაიონის ოცდაექვსივე ბაღის აღსაზრდელზე გაიცა 25 ლარიანი კვების პაკეტი.

ორგანიზებულად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე, ორ-სამ დღეში მოახერხეს ბაღების მესვეურებმა რამდენიმე დასახელების საკვები პროდუქტების შეფუთვა, დახარისხება და განაწილება, რაც მთავარია, ეს საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაო პროცესი შესრულდა საიმედოდ, მედიცინის მუშაკებისა და სპეციალისტების მიერ დადგენილი რეკომენდაციების სრული დაცვით, სხვათა შორის, აღნიშნულ სამუშაო პროცესს წინ უსწრებდა თერმოსკრინინგი, რომელიც ბაღის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა. კვების პროდუქტების დარიგების პარალელურად მიმდინარეობდა /ახლაც გრძელდება/ მშობლებთან და აღსაზრდელების ახლობლებთან სატელეფონო საუბრები, რომელსაც აწარმოებდნენ ბაღების ფსიქოლოგები, მეთოდისტები და აღმზრდელები, ისინი ამომწურავად, გასაგები ენით უხსნიდნენ ბავშვებსა და მათ მშობლებს, ახლობლებს, რომ ეს სიტუაცია დროებითია, ყველა მხარში უნდა ამოუდგეს ერთმანეთს, რათა ეს გამოწვევა დროულად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე იქნას დაძლეული... ოდნავ მოგვიანებით, უფრო ზუსტად კი, აღდგომის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით საბავშვო ბაღებში ტრადიციული სააღდგომო აქციაც განხორციელდა, ერთი სიტყვით, მუნიციპალიტეტის ოცდაექვსივე ბაღის თითოეულ აღსაზრდელს გადაეცა საჩუქარი, კვერცხი, ტკბილეული და სხვა სადღესასწაულო ნობათი.

✦ კასპის №5 საბავშვო ბაღის გამგე ლალი მილაძე – ვიცით, რომ "გვირაბის ბოლოს სინათლეა", ამიტომაც ვართ იმედიანად, მეტიც, ქვეყანაში საგანგებო ვითარების გამოცხადებისთანავე ჩვენს დაწესებულებაში ყველა, როგორც ერთი, თითოეული პერსონალი უდიდესი პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით მიუდგა არსებული პრობლემების დროულად და ორგანიზებულად მოგვარებას... მედიცინის მუშაკებისა და სპეციალისტების მიერ გაცემული რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა ბაღის სადეზინფექციო სამუშაოები, საგულდაგულოდ გაიწმინდა ოთახები, ავეჯი, ყველა კუთხე-კუნჭული, შესასვლელ-გასასვლელები, ეზოს შემოგარენი. ბუნებრივია, ამ დროს ჩვენი აღსაზრდელები /ამჟამად ბაღში ირიცხება 159 ბავშვი/ სახლებში, მოულოდნელ არდადეგებზე იმყოფებიან და მთელი ამ ხნის განმავლობაში მათზე ზრუნვა არავის შეუწყვეტია, მართალია, სააღმზრდელო პროცესი დროებით შეფერხდა, მაგრამ სწორედ ახლა დღის წესრიგში დადგა ბავშვებისათვის დაგეგმილი სამთავრობო დავალების შესრულება.

მოკლედ, როგორც მთელ მუნიციპალიტეტში, ჩვენს ბაღშიც განხორციელდა სამთავრობო კვების აქცია, რომელიც ითვალისწინებს შინ დარჩენილი თითოეული აღსაზრდელის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას. ბავშვებისთვის განკუთვნილი სასაჩუქრე პაკეტი მოიცავდა სხვადასხვა დასახელების საკვებს, ესენია კვერცხი, ზეთი, შესქელებული რძე, ხილფაფა, ნამცხვარი, /რა თქმა უნდა, დაფასოებული პაკეტი/, რომელიც გაუნაწილდა უკლებლივ ყველა აღსაზრდელს. მართალი გითხრათ, პროდუქტების დაფასოებას და თანაბრად განაწილებასაც, ბუნებრივია, დრო სჭირდებოდა, ამავე დროს ენერგიაც, ამისათვის კი, ძალისხმევა არ დაიშურეს ჩვენი ბაღის თანამშრომლებმა, რომელთა შორის არიან: მომმარაგებელი /მნე/ ლიანა მჭედლიშვილი. მედდები: მარინა ზავრადაშვილი, ლალი მღებრიშვილი და ქეთინო მარჯანიძე, აღმზრდელები თამარ ნიპარიშვილი, მაია მაღლაფერიძე, თინიკო თინიკაშვილი, ეკა ნიპარიშვილი, ლია მემარნიშვილი, თიკო გაბოძე, აღმზრდელის თანაშემწე ხატია ილურიძე... აღმზრდელ-მასწავლებლების "ფუნქცია" ამით არ შემოფარგლულა, ისინი თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში, სისტემატურად ახორციელებენ ბავშვებთან და მათ მშობლებთან სატელეფონო კონტაქტს და ესაუბრებიან პატარებს, ამხნევებენ მშობლებს. ერთიც უნდა ითქვას, აღსაზრდელების მშობლებმა ციკო ბუნტურმა, ნანა ადიკაშვილმა, ნათია ბუდაღაშვილმა, თეონა ქოჩქანმა, ნათია აბულაძემ, შორენა ყავრელიშვილმა ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს, კერძოდ მათ საკუთარი შვილებისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტები ეკონომიურად შეჭირვებული ოჯახების შვილებს დაუთმეს.

✦ დღესის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე სოფიო როინიშვილი – სულ რაღაც სამიოდე თვის წინ დავიწყეთ სააღმზრდელო და სასწავლო პროცესი ახალგარემონტებულ, კეთილმოწყობილ და ყველაფრით აღჭურვილ /160 ბავშვზე გათვლილი/ ბაღში... მთელი სოფელი, აღსაზრდელების მშობლები უდიდეს მადლიერებასა და კმაყოფილებას გამოთქვამენ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, რომელთა უშუალო ძალისხმევითა და მხარდაჭერით ჩვენს პატარებს ახლა ნამდვილად არნახულ კომფორტსა და ყველაფრით უზრუნველყოფილ პირობებში უწევთ ყოფნა. ამჟამად ბაღში სულ სამი სააღმზრდელო ჯგუფი /103 აღსაზრდელი/ გვყავს. უამრავი საინტერესო, ფრიად აქტუალური პროექტები გვქონდა დაგეგმილი საგაზაფხულოდ, მაგრამ დღეს შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, რასაკვირველია, დროებით მოგვიწევს ბევრი რამის გადადება.

როგორც მოგეხსენებათ, ახლა ჩვენი პატარები დროებით არდადეგებზე იმყოფებიან და მიუხედავად შინ ყოფნისა, მთავრობამ უყურადღებოდ არ დატოვა ისინი, თანადგომა, გულისხმიერება გამოიჩინა და მათთვის გამოყო სასაჩუქრე კვების პაკეტი, რომელიც ყველა აღსაზრდელს გადაეცა. აღმზრდელ-მასწავლებლებმა ოპერატიულად, დათქმულ დროს მიუტანეს ბავშვებს სხვადასხვა დასახელების პროდუქტები, რომელთა შორის იყო კვერცხი, ზეთი, ხილფაფები, შესქელებული რძე და კიდევ სხვა ნობათი, სულ 25 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტი.

ნამდვილად ყურადსაღებია, უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ ძნელბედობის დროს გასაოცარი, სამაგალითო წინდახედულება გამოიჩინეს ჩვენი აღსაზრდელების მშობლებმა, ბევრმა მათგანმა უარი თქვა მთავრობის ამ სიმბოლურ დახმარებაზე და თავისი შვილისათვის განკუთვნილი კვების პაკეტი გადასცა იმ პატარებს, რომელთა ოჯახებსაც ამ ეტაპზე ეკონომიურად ძალიან უჭირთ.

რომ იტყვიან, ყველა ერთ მუშტად შეიკრა და გაერთიანდა საყოველთაო გასაჭირის წინააღმდეგ, ამიტომაც ვართ იმედიანად, არაფრის გვეშინია, თუ ერთად ვიქნებით, ყველაფერს გავუმკლავდებით.

✦ კასპის №4 ბაგა-ბაღის გამგე დალი კოტეტიშვილი – რა ვქნათ, პანდემიის პირისპირ აღმოვჩნდით, ასეა მთელი მსოფლიო, ჩვენი ქვეყანაც, ამიტომაც გვჭირდება ერთმანეთის მხარდაჭერა, გამხნევება... ახლა ჩვენი ბავშვები /125 აღსაზრდელი/ შინ იმყოფებიან, როგორც კი გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და დროებით დაიხურა ბაღი, ჩვენი აღმზრდელ-მასწავლებლები, ყველა, როგორც

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაცია

დასასრული

ერთი ორგანიზებულად, პასუხისმგებლობით შეუდგა შექმნილ ვითარებასთან გამკლავებას. მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციების სრული დაცვით უსწრაფესად ჩატარდა შენობის, თითოეული ოთახისა და ავეჯის დეზინფექცია, შემდეგი ეტაპი გახლდათ აღსაზრდელებისათვის მთავრობის მიერ გამოყოფილი საკვები პროდუქტების დარიგება. დაუგვიანებლად, სპეციალისტების მიერ დადგენილი წესების სრული დაცვით შესრულდა სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტების /25 ლარიანი პაკეტი/ დაფასება, რომელსაც უდიდესი სიფრთხილითა და ყურადღებით ასრულებდნენ ჩვენი თანამშრომლები: მნე ნუნუ ნაროზაშვილი, აღმზრდელები ნელი გორგაძე, ციცო ირემაშვილი, მაია აბეწვაშვილი, ინგა ხინჩაგოვი, ერთი სიტყვით, სულ ხუთი დასახელების საკვები პროდუქტი შეიფუთა და იმავე დღეს გაუნაწილდა ოჯახებს.

სხვათა შორის, გამუდმებით სატელეფონო კონტაქტზე ვართ ჩვენს აღსაზრდელებთან და მათ მშობლებთან, განსაკუთრებით აქტიურობენ აღმზრდელები, ლოგოპედები და მეთოდისტები, რომლებიც ონლაინ რეჟიმში /კომპიუტერის საშუალებით / ესაუბრებიან ბავშვებს, მშობლებს და შეძლებისდაგვარად პასუხობენ მათ შეკითხვებს, არადა, ხომ იცით, რომ ბავშვებს ბევრი რამ აინტერესებთ და მოუთმენლად ითხოვენ პასუხს...

მოკლედ, ამ დისტანციური აქტივობებით, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში გეგმით იყო გათვალისწინებული, მაგალითად, გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით /ჯეჯილის დათესვა, სააღდგომო სამზადისი და სხვა თემები, ბევრმა აღსაზრდელმა და მისმა მშობელმა, ვისაც კომპიუტერთან წვდომა შეუძლია/ მართალია, სრულყოფილად არა, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა მაინც შეიქმნა.



✦ კასპის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე თამარ ხოკრიშვილი – კორონავირუსის გამო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს და არა მარტო ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ყველა საბავშვო ბაღმა დროებით შეაჩერა აღმზრდელობითი პროცესი. აქედან გამომდინარე, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების გადაწყვეტილებით კასპის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში დროულად და ორგანიზებულად განხორციელდა სამთავრობო აქცია და მოულოდნელ "არდადეგებზე" მყოფმა ბაღის 170 აღსაზრდელმა მიიღო თავისი კუთვნილი საკვები პროდუქტი.

დროის სულ მცირე მონაკვეთში, თანაც მთავრობისა და სამედიცინო მუშაკების მიერ გაცემული მითითებებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით მოხერხდა 25 ლარიანი საკვები პროდუტების პაკეტის შეფუთვა და ყველა ბავშვზე განაწილება... ხუთი დასახელების საკვები პროდუქტი: კვერცხი, ზეთი, შესქელებული რძე, ხილფაფა, ნამცხვარი თანაბრად გაუნაწილდათ ჩვენს პატარებს. ბაღის მთელი კოლექტივი მონაწილეობდა ამ დავალების შესრულებაში, აქტიურობდნენ მნე მარი ბაინდურაშვილი, მედდები ლია ზაალიშვილი, ნინო მაკრახიძე და ნინო მირუაშვილი, მზარეულის თანაშემწე მაკა ხიზამბარელი. მოკლედ, ახლა შეჩერებულია სასწავლო-საალმზრდელო პროცესი, მაგრამ ბაღის აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, მეთოდისტები, ლოგოპედები არ წყვეტენ ბავშვებთან, მათ მშობლებთან საალმზრდელო და ახსნა-განმარტებით სამუშაოებს, ასე, რომ თითოეული საალმზრდელო ჯგუფის ხელმძღვანელმა ზედმიწევნით იცის, თუ რა მდგომარეობაში არიან ჩვენი აღსაზრდელები, რა თქმა უნდა, ეს ხდება ონლაინ რეჟიმში და სატელეფონო კავშირის დახმარებით.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

აპრილის იუბილარი

გაიცანით გიგა ტატიაშვილი

ეს ჭაბუკი, 18 წლის გიგა ტატიაშვილი, მხატვრულად თუ ვიტყვით, ქართული ძიუდოს "მეცხრე ტალღის" წარმომადგენელია, ახალთაობელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი გამორჩეული და პერსპექტიული სპორტსმენია, ვისიც დიდად ეიმედებათ მშობლებს, პირველ მწვრთნელებს, თანაგუნდელებს, საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების თავკაცებს, სპეციალისტებს და, ცხადია, გულშემატკივრებსაც.

გიგა ამჟამად ქ. თბილისის ძიუდოს კლუბ "შევარდენი – 2005"-ის წევრია და მისი სახელით გამოდის, ამ ჯერზე იქაურ გამოცდილ მწვრთნელს, ლევან ნოზაძეს ეშეგირდება.

გიგა წარმომავლობა-სადაურობით ჩვენებურია – სოფელ გრაკლიდან. წლევანდელ 3 აპრილს მას 18 წელი შეუსრულდა. მის მიერ შარშან და შარშანწინ ნაჩვენები შედეგებით ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ მან თამამად შეაბიჯა ევროპისა და მსოფლიოს სათვალავით მოაზრებული ჭაბუკი ძიუდოისტების დაწინაურებულ რაზმში.

აი, გიგა ტატიაშვილის სპორტულ მიღწევათა ნუსხა 2019 წლის განმავლობაში:

– მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორი (ქ. ალმატი, ყაზახეთი);

– ევროპის პირველობის ჩემპიონი (ქ. ვარშავა, პოლონეთი);

– ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მესამე პრიზიორი; ესოდენ პრესტიჟულ და წარმომადგენლობით შეჯიბრებაზე წარგზავნილი საქართველოს სპორტული დელეგაციის მედროშე, საზეიმო გახსნის ცერემონიაზე, სწორედ ჩვენი გიგა გახლდათ (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);

– ევროპის თასის მფლობელი (ქ. ტეპლიცე, ჩეხეთი);

– ევროპის თასის გათამაშებების მეორე პრიზიორი (ქ. ანტალია, თურქეთი; ქ. ბიელსკო-ბიალა, პოლონეთი)...

და, კიდევ, შარშანვე გიგამ წარმატებით იჭიდავა და რამდენჯერმე გაიმარჯვა მშობლიური რაიონის სოფლებში მოწყობილ საჭიდაო ღია არენებზე. მას ქართული ჭიდაობაც შესანიშნავად ემარჯვება და ფალავნად ყალიბდება, სამომავლოდ რა იქნება და როგორ, ვნახოთ, ეს მხოლოდ მასზე და რამდენიმე თანხვედრილ ფაქტორზეა დამოკიდებული.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ერთიც: გიგას უმეტეს ფინალურ ორთაბრძოლაში, იქნება ევროპა-მსოფლიოსა თუ საშინაო შეჯიბრებები, როგორც წესი, მუდმივ მეტოქედ ჰყავს (თუ, პირიქით, იმას – ეს) მეგობარი და თანაგუნდელი, ასევე, კასპელი (სოფ. თელიანიდან) ირაკლი დემეტრაშვილი. დიახ, საგარეო დიდ პირველობებზე მათი გზები სწორედ საფინალო ეტაპზე გადაიკვეთა (და აქაც, რაიონის საჭიდაოებზეც). ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქართულმა სასპორტო გაზეთმა "ლელომ" მათზე დაბეჭდილი წერილი ასე დაასათაურა: "ფინალი ქართული ფინალით".

სანამ სპორტდარბაზები კარებს გაალებენ

2020 წლის აპრილში სამი წელი შესრულდა, რაც კასპში მწყობრში ჩადგა განახლებული და გაფართოებული სასპორტო კომპლექსის ობიექტები – სავარჯიშო და საშეჯიბრო დარბაზები, სამსართულიანი ფუნქციური კორპუსი, ფიტნესშენობა და სხვ. ამ წლებში აქ სპორტული მაჯისცემა სულ უფრო მატულობდა, მაგრამ წლევანდელი თებერვლის ბოლოდან და მარტის დასაწყისიდან ყოველგვარი სახის ვარჯიშები თუ მეცადინეობები, შიდა თუ გარე შეჯიბრებები, ნებისმიერი სხვა საქმიანობა შეჩერდა, შეწყდა, თითქოს გაჩერდა დროის ათვლა და მან გააჩერა სპორტიც... ცხადია, ეს გამოძახილია ახლანდელი საყოველთაო ვირუსული და პანდემიური მდგომარეობისა.

ასეა, სპორტკომპლექსის ეზო-მიდამოში საოცარი ხალვათობაა. დროდადრო მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი და ტექნიკური მუშაკი თუ გამოჩნდება ხოლმე აუცილებელ და გადაუდებელ საქმეთა გამო. და მაინც, შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჩვენთან სამომავლო თადარიგსაც იჭერენ და "იძულებით ნაჩუქარ" დღეებს შედეგიანად იყენებენ – რამდენიმე მუშაკი განაგრძობს საგაზაფხულო-სამეურნეო და ტექნიკურ-სარემონტო ხასიათის სამუშაოებს: ვახტანგ მუმლაურმა, ვლადიმერ კიკაჩეიშვილმა და პავლე ნონიაშვილმა ამ დღეებში გადაბელეს მრავალწლიანი ალვის ხეები, რომლებიც ჯერაც გასული საუკუნის 60-იან წლებში დაირგო მრგვალი საჭიდაო დარბაზის გარშემო და ქალაქის ცენტრალური საავტომობილო გზის გასწვრივ. დიახ, გადაჭრეს, მაგრამ ისე, რომ მალე ამ გადანაჭრებზე, მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე

ლამაზი, დეკორატიული საყვავილე ქოთნები დაეწყობა და უფრო გაამშვენიერებს ეზოს მწვანე კოინდარს. ძველების, უკვე მობერებული ხეების სანაცვლოდ აქ უკვე თავმომწონეობენ და დაირგო ვარდების 40-მდე ნერგი. მათ მახლობლად უკვე ტიტებიც კეკლუცობენ ალისფრად.

სხვათა შორის, სპორტკომპლექსის დირექტორმა გიორგი ნიპარიშვილმა, რომელიც ყოფილი მოჭიდავეა, თანამშრომლებთან საუბრისას, ერთხელ, გაიხსენა, რომ ეს ძველი ალვის ხეები სწორედ მისი თაობის სპორტსმენებმა დარგეს და გაახარეს სულ გაზაფხულის კვალობაზე მწვანე ფარჩებით ირთვებიან იშვიათი ჯიშის დეკორატიული სამწლიანი ნარგავები – პავლონიები, რომლებსაც ხალხში სხვანაირად "ფანქრის ხესაც" ეძახიან. ჩვენი გამრჯე სამეულის მარჯვენის წყალობით ისინი ჯერაც ზამთრის თვეებში კირხსნარით შეიფვეთქა და შეთეთრდა.

აი, გაზაფხულისპირზე ეზოში რამდენიმე წელში მას შემდეგ, რაც კასპის ამ უბანში – "წერტზე" – გასული საუკუნის შუა პერიოდში მრგვალი საჭიდაო დარბაზი აშენდა. ბატონი გოგი ახლაც სახვალიო, სამომავლო ამოცანებს სახავს კვლავინდებურად, აპრილის დღეებში ხშირ-ხშირად დახედავს ხოლმე საგაზაფხულო გამწვანების საქმიანობით დაკავებულებს. და არა მარტო გამწვანებისა: აკი, საგულდაგულოდ შემოწმდა კომპლექსის წყალმომარაგების, ელექტროგაყვანილობის, სახანძრო უსაფრთხოების, გადახურვისა და სხვა დანიშნულების ქსელები, კვანძები და წერტილები. ცხადია, შეკეთდა, შეიცვალა და გარემონტდა ყველაფერი, სადაც ამის საჭიროება იყო.

აი, ასე, მეგობრებო! სპორტკომპლექსში ყველა ვინარჩუნებთ იმედს. ყველას გვჯერა, რომ ადამიანები აუცილებლად დაამარცხებენ უხილავ მტერს, ბოროტ მეტოქეს, სახელად "კოროონას". გადავარჩინოთ ერთმანეთი და ამით დავიცვათ სიცოცხლე, რათა არსებობა განაგრძოს ჩვენმა შთამომავლობამ, სრულიად კაცობრიობამ.

აი, ასე, მეგობრებო! გადაივლის კორონირების საშიშროება და ხიფათი, ისევ გაიხსნება კასპის სპორტკომპლექსის დარბაზებისა და შენობების კარებები, კვლავ ახმაურდებიან აქაური ნორჩი სპორტსმენები. ჩვენ კი კვლავინდებურად ვიქნებით კასპელი მწვრთნელებისა და მათი შეგირდი გოგობიჭების ახალ-ახალ სპორტულ წარმატებათა მახარობელი და მაცნე.

საფეხბურთო ტურნირების განახლებას გეგმავენ

გერმანიაში საფეხბურთო ტურნირების განახლებას 9 მაისს გეგმავენ.

პირველი ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო შეჩერებული იყო და განახლდება, ბუნდესლიგა იქნება.

თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, 9 მაისს გერმანიის ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩები გაიმართება, თუმცა, მაყურებლების გარეშე.

პირველი და მეორე ბუნდესლიგის გუნდები ვარჯიშს ნელ-ნელა უკვე შეუდგნენ. ვარჯიშობენ ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად, შენობებს, სადაც ფეხბურთელები და მწვრთნელები უნდა განთავსდნენ, რეგულარულად უტარდება დეზინფექცია, თავად სპორტსმენები კი რეგულარულად გაივლიან ტესტებს.

9 მაისს განახლდება ჩემპიონატი ფარერის კუნძულებზეც.

იტალიაში ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონატი შეეწყვიტათ და ჩემპიონად იუვენტუსი გამოეცხადებინათ, მაგრამ, 20 აპრილს სერია ა-ს საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ჩემპიონატი განახლდეს. ამაზე თანხმობა იტალიის ხელისუფლებამ უნდა გასცეს.

ანალოგიური სიტუაციაა ესპანეთშიც – იქ ფიქრობენ, რომ ჩემპიონატი მაისის დასასრულს ან ივნისის დასაწყისში განაახლონ, თუმცა, მატჩები მაყურებლის გარეშე ჩატარდება.

30 მაისს ოფიციალურად განახლდება საფეხბურთო ჩემპიონატი პოლონეთში, 14 ივნისს – შვეიცარიაში. დანარჩენ ქვეყნებში ჯერ არ ჩამოყალიბებულან, როდის განახლდება მათ ქვეყნებში ჩემპიონატები, ცნობილია, რომ ივნის-ივლისზე ადრე ეს არ მოხდება საფრანგეთში, ინგლისსა და რუსეთში.

ია მამალაძე.

რიოლის მოვერიოლოთ ცვყოთვრ თვვც ვნო ითვიქრეთ თვიქრის ლრროს

"მედიცინის მამად" აღიარებული ძველბერძენი ექიმი ჰიპოკრატე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 370-460 წლებში მოღვაწეობდა, გარდა მედიცინისა, ერთობ დაინტერესებული ყოფილა ადამიანზე ენერგოზემოქმედებისა და ე. წ. გათვალვის საკითხებით.

ბრძენმა ექიმმა ჯერ კიდევ პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისთანავე შენიშნა, რომ ეს "დაავადებები" (ჰიპოკრატე გათვალვას და ენერგეტიკულ ზემოქმედებას დაავადებას უწოდებდა) მართლაც არსებობენ და მათი მკურნალობა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს.

ყველაზე საინტერესო ამ საკითხების შესახებ მისი დასკვნა აღმოჩნდა: ადამიანი, რომელსაც გათვალვის და ენერგეტიკული ზემოქმედების ეშინია, პირველ რიგში, ბოროტი თვალის და უსიამოვნო გარეგნობის პიროვნებას კი არ უნდა მოერიდოს, არამედ საკუთარ თავს უნდა უფრთხოდეს!

ჰიპოკრატეს მაშინ ბევრი არ დეთანხმა, მაგრამ დღევანდელი ბიოენერგოკორექტორებისთვის დიდი ხანია კარგადაა ცნობილი, რომ "მედიცინის მამამ" ჯერ კიდევ მაშინ აღმოაჩინა თვითგათვალვა, ანუ, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, თვითკოდირება.

ადამიანი ძალიან მოუსვენარი არსებაა, მისი გონება მუდმივად აღგზნებულია და წარმოდგენაში ახალ-ახალ სურათებს ხატავს. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც რაიმეს აკეთებს.

ძალიან მარტივი ცდის საფუძველზეც კი ადვილად დავრწმუნდებით, რომ რაც უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ, მაგ„ ნატკენ ხელს, მით უფრო მეტად აგვტკივდება ის. სწორედ ეს არის თვითკოდირება, თვითგათვალვა. არადა, რამდენი მსგავსი ფაქტი ხდება ცხოვრებაში?

ხშირად, სანამ რაიმე საქმეს დავიწყებდეთ, იმდენს ვფიქრობთ მასზე, იმდენ ნეგატიურ ფაქტს ვუკავშირებთ, რომ საბოლოოდ თავადვე ვთვალავთ ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს და უარყოფით შედეგს ვიღებთ. შემდეგ კი ყველაფერს უიღბლობას ვაბრალებთ და აზრადაც არ მოგვდის, რომ ეს "უიღბლობა" ჩვენ მიერვეა გამოწვეული.

აღნიშნულზე მიგვანიშნებს უძველესი ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ადამიანმა, სანამ რაიმეს გააკეთებდეს, იმ საქმეზე არ უნდა ილაპარაკოს — ყველაფერს თავისი დრო აქვს.

აბა, როგორ მოვიქცეთ? — ისევ და ისე ბუნებას უნდა დავუგდოთ ყური. ჰიპოკრატემ ისიც დაადგინა, რომ ადამიანის ორგანიზმი გამალებით იცავს თავს ასეთი ზემოქმედებისგან. ადამიანი იღლება, აზროვნება უჩლუნგდება, თითქოსდა აღარ შეუძლია პრობლემაზე ფიქრი,



მაგრამ გონება გამალებით მიაქანებს წინ: "რა დროს დასვენებაა, გამოსავალი მოძებნე!" — მსგავსი ფიქრები ახალ-ახალი ძალით მწიფდება. არადა, სხეული უკვე კარნახობს, რომ კმარა, ნეგატიური ენერგიის საკმაო დოზა უკვე მიღებულია. ამავე მექანიზმით შეიძლება აიხსნას ისიც, რომ შეჭირვებულ ადამიანს ყოველთვის ვინმესთან საუბარი უნდა, რათა ნეგატიური ენერგიისგან დაიცალოს. ალბათ, ეს მომენტი ყველას გამოგვიცდია. როდესაც ვინმეს დაველაპარაკებით, როგორ ერთბაშად თავისუფლად ვგრძნობთ თავს მაშინაც კი, როდესაც მოსაუბრეს რაიმე გარკვეული რჩევის მოცემა არ შეუძლია.

გამოსავალი ერთადერთია, დავუჯეროთ სხეულს და სხვა საკითხებზე გადავერთოთ: წავიდეთ მეგობრებთან, ვიმხიარულოთ, გავერთოთ და როდესაც ამის შემდეგ კვლავ პრობლემას დავუბრუნდებით, სრულიად მოულოდნელად საუკეთესო გამოსავალსაც ვიპოვით.

ჰიპოკრატე თავის პაციენტებს ურჩევდა: "იფიქრეთ ფიქრის დროს და დაისვენეთ დასვენების დროს!" ეს ფორმულა განსაკუთრებით კარგად აითვისეს დასავლეთში. დასვენების დღეს ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც საქმეზე საუბრობს. როგორც კი სამუშაო საათები დამთავრდება, ის მაშინვე ივიწყებს საქმეს და დასვენებაზე იწყებს ზრუნვას. ეს საუკეთესო გამოსავალია, რადგან ამ დროს შინაგანი ენერგეტიკა თანაბრად ნაწილდება როგორც მუშაობაზე, ისე დასვენებაზე. ორგანიზმში თითქმის აღარ გროვდება უარყოფითი ენერგია და ასეთი ადამიანები გაცილებით ადვილად აღწევენ წარმატებას.

მიზეზი ძალიან უბრალოა, ისინი თავიანთ თავზე არ ახორციელებენ ენერგეტიკულ ზემოქმედებას.

ცხოვრების ასეთი წესის შემთხვევაში თვით შინაგანი ენერგიაც საკმაოდ მაღალია და სხვები არცთუ ადვილად მოახერხებენ მასზე ზემოქმედებას.

ცალკე გამოყოფენ კიდევ ერთ ფენომენს, რომელიც არანაკლები ბოროტების მომტანია, ვიდრე თვითზემოქმედება.

ხშირად "დასვენება", "ყოველდღიურობიდან მოწყვეტა" არასწორადაა გაგებული და დასახმარებლად ნარკოტიკებსა თუ სპირტიან სასმელებს მიმართავენ. საბოლოო ჯამში ადამიანის ენერგეტიკული გარსი ნადგურდება. ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმზე საკმაოდ ბევრი იწერება, ამიტომ ამ პრობლემაზე ამჯერად დიდხანს არ შევჩერდებით, თუმცა ერთ რამეს კი ვიტყვით, რასაც, შესაძლოა, პირველად ისევ ჰიპოკრატემ მიაქცია ყურადღება. დასვენებისას, არ ცხრება ქვეცნობიერი, თქვენი მეორე მე. იგი გონების ნაცვლად აგრძელებს მუშაობას და საუკეთესო გამოსავალს ამზადებს. ასე რომ, არ არის საჭირო ნარკოტიკებით და ალკოჰოლით მოუსპოთ მას ჯანსაღად მოქმედების საშუალება.

კორონავირუსი სისუფთავის ჭყვეობაში

კორონავირუსის დღეების სტატისტიკის მიხედვით, სახლი იდეალურად სუფთა მდგომარეობაში რომ შეინარჩუნონ, დიასახლისთა უმრავლესობას ყოველდღე დაახლოებით 30-40 წუთი სჭირდება. რამდენიმე მარტივი რჩევა დაგეხმარებათ ამ სიტუაციის გამოსწორებასა და დალაგების დროის მინიმუმამდე დაყვანაში.

სუფთა ქურები

თავიდან, გარეცხეთ ქურის მოსახსნელი ნაწილები ჟელეიანი წყლით. თუ ეს არ შველის, ჩაალაგეთ ისინი დიდ პარკში და დაასხით 1/4 ფინჯანი ამიაკი.

ამის შემდეგ, კარგად გაკვანძეთ პარკი. დაბინძურების სრულად მოშორებისთვის, ნაწილები პარკში მთელი ღამით უნდა გააჩეროთ, ხოლო დილით უბრალოდ გაავლოთ ცხიმი და ჭუჭყი, რომელიც აქამდე კარგად დარბილდებოდა.

არავითარი ლაქები ავეჯის შემოსაკრავზე.

ავეჯის შემოსაკრავზე ლაქების ამოყვანა არასდროსაა მარტივი. ნაცვლად იმისა, რომ ახალი საშუალებების გამოცდაზე დაკარგოთ დრო, შეგიძლიათ, ლაქებს ცოტაოდენი საპარსი კრემი ან ქაფი წაუსვათ, გააჩეროთ 30 წუთით ან მთელი ღამით, ხოლო შემდეგ მშრალად გაწმინდოთ. ამ ხრიკისთვის გელი არ გამოგადგებათ, მას შეუფერებელი ტექსტურა აქვს. ქსოვილს რომ არ ავნოთ, ჯერ ქაფი ძალიან მცირე ნაწილზე წაუსვით.

მბზინავი ჭურჭელი

ონკანის წყლის ხარისხი შესაშური საერთოდ არაა. სწორედ ამიტომ, კარგად გარეცხილ ჭურჭელზე ხშირად რჩება ულამაზო მოყვითალო ლაქები, წყლის წვეთები ან ჭუჭყი. მათ სწრაფად და ეფექტურად მოშორებაში დაგეხმარებათ 50% ძმრისა და 50% წყლის ხსნარი. წაუსვით ხსნარი ლაქებზე და გააჩერეთ 15 წუთით. როგორც კი ხსნარი დაარბილებს ხისტი წყლის ნადებს, აიღეთ კბილის ჯაგრისი ან სხვა რბილი სახეხი და ჩამოწმინდეთ ჭუჭყი. შემდეგ გაამშრალეთ ჭურჭელი ქსოვილით.

თუჯის ტაფის ეფექტური წმენდა

არასათანადო წმენდისას, თუჯის ტაფების საფარი შეიძლება აიქერცლოს ან დაიჟანგოს. საბედნიეროდ, არსებობს ამ პრობლემის გამოსწორების ეფექტური საშუალება. ამისთვის მხოლოდ კარტოფილი და მარილი დაგჭირდებათ, ცოტაოდენი უხეში მარილი დააყარეთ თუჯის ტაფას და კარტოფილის ნახევარი ნაჭრით შეაზილეთ იგი ზედაპირს, სანამ ჭუჭყი არ დარ-

ბილდება და მარტივად არ ჩამოირეცხება.

აბაზანის წმენდა გრეიფრუტით

გრეიფრუტი არამხოლოდ კარგი გასახდომი პროდუქტია - იგი სახლის დალაგებაშიც გვეხმარება, ამიტომ ყოველთვის გქონდეთ სათადარიგო ხილი მაცივარში. აბაზანა ნებისმიერი დაბინძურებისგან რომ გაწმინდოთ, გაჭერით ხილი შუაზე, მოაყარეთ ზემოდან მარილი და გაწმინდეთ ამით ყველა ზედაპირი. მარილი ქმნის აბრაზიულ ტექსტურას. ლიმონმჟავა კი შიგნიდან ანადგურებს ლაქებს.

აღარავითარი ლაქა ხალიჩაზე

ხალიჩაზე ლაქები ხშირად ჩნდება, ამიტომ ამ პრობლემას სერიოზულად უნდა მიუდგეთ. განსაკუთრებით ხშირად, ლაქები იმ სახლში ჩნდება, რომელშიც ბავშვები და შინაური ცხოველები არიან. სწორედ ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი, მოიმარაგოთ რამდენიმე ეფექტური საშუალება, სხვადასხვა სახის დაბინძურების წინააღმდეგ. ესეც ერთ-ერთი მათგანი: აიღეთ ცოტაოდენი ძმარი, წყალი და ორთქლის უთო. შეურიეთ სითხეები 1:3 პროპორციით, მოასხით მასა ლაქებს, შემდეგ დაახურეთ მას ქსოვილი და ორთქლით დაამუშავეთ 30 წამის განმავლობაში.

უსაფრთხო ღრუბლები

სამზარეულოს ღრუბლები გამოიყენება ჭურჭლის, მაგიდის ზედაპირის გაწმენდისა და სხვა სახის დალაგებისთვის. თუ მათ რეგულარულად გარეცხავთ ისინი დიდხანს გაგიწევენ სამსახურს, საწმენდი საშუალება შეიძლება იყოს ჭურჭლის სარეცხი ფხვნილი.

სუფთა თეფშები

დანის გამოყენება, ჩანგლის ძალიან მკვეთრი მოძრაობები - ეს ყველაფერი თეფშებზე ულამაზო ნაკაწრებს ტოვებს, რომლებიც ჭურჭლის იერს აფუჭებს.

საბედნიეროდ, მათ მარტივად მოიშორებთ და თეფშები ახალივით გახდება, თუ გამოიყენებთ ჩვეულებრივ საკვებ სოდას: ჯერ მოამზადეთ წყლისა და სოდის პასტა, რის შემდეგაც, ჭურჭლის ზედაპირი უნდა გაიხეხოს საჭირო შედეგის მიღებამდე.

უსუნო ნაგვის ურნა.

ნაგვის ურნა ყოველდღე ექვემდებარება ჭუჭყისა და ძლიერი სუნის გავლენას. სწორედ ამიტომ, მას რეგულარული დეზინფექცია და გაწმენდა სჭირდება. მისი წმენდა მარტივია: უბრალოდ დააწვეთეთ ლიმონის წვენი და გაწმინდეთ სათლის შიდა ზედაპირი.

ფიქრებმა შეიძლება მომავალი „დაანგრიონ„

კორონავირუსის დღეებმა მრავალ უჩვეულო მოვლენაზე ახლებურად ჩააფიქრა საზოგადოება. თვით მეცნიერებს უამრავი მაგალითი მოჰყავთ იმის დასადასტურებლად, რომ ხელოვნება მომავალზე მოქმედებს. ეს მაგალითები როგორც შორეულ, ისე ახლო წარსულს აცოცხლებენ. თავის აზრს აფიქსირებენ პარაფსიქოლოგები და განსაკუთრებულ აქცენტს მწერლებზე აკეთებენ, რომელთაც (მეტ-ნაკლებად) წინასწარჭვრეტის უნარი გააჩნიათ. რეალურ ცხოვრებაში არაერთხელ დადასტურებულა, რომ წიგნში აღწერილი მოვლენები მომავალში მართლაც მომხდარა. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, ცხადია, სხვა ფაქტორებიც გასათვალისწინებელია.

დაფნა დიუ მორიეს პატარა მოთხრობა, რომელშიც უცნაური, ჯერაც გაუგონარი ამბები იყო აღწერილი, დიდი პოპულარობით ნამდვილად არ სარგებლობდა; მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი კინოს ცნობილ ოსტატს ჩაუვარდა ხელში და თანამედროვე კინოხელოვნების კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ნიმუში – "ფრინველები" შეიქმნა, მკითხველმა მოთხრობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ალფრედ ჰიჩკოკმა ბრწყინვალე კინოსურათი გადაიღო, რომლის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ მოთხრობის პოპულარობამ საგრძნობლად იმატა. ფილმით მთელი მსოფლიო იყო აღტაცებული. მთავარი ისაა, რომ ამ ყველაფერს თან ერთი უცნაური მოვლენა დაერთო.

ფილმის ეკრანებზე გამოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ, 1960 წლის მაისში ბრიტანეთის ქალაქ ლესტერშილში მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ქუჩაში თამაშობდა, როდესაც მათ თავს კაჭკაჭთა გუნდი დაესხა. ფრინველები ძალიან აგრესიულები იყვნენ, ბავშვებს ფრთებით სცემდნენ და გამალებით კორტნიდნენ, – ზუსტად ისე, როგორც ეს ფილმსა და მოთხრობაშია აღწერილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მოთხრობაშიც მოქმედება ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე მიმდინარეობდა. მიუხედავად მცდელობისა, გამვლელებმა ბოლომდე ვერ მოახერხეს ბავშვების დაცვა. საბედნიეროდ, ფრინველების თავდასხმა ცოტა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მათ ბავშვებს სერიოზული ტრავმები მიაყენეს. ადგილობრივ საავადმყოფოში, რომელშიც დაზარალებული ბავშვები მიიყვანეს, დაფიქსირდა, რომ ნაკორტნი ჭრილობები მათ ძირითადად თავის არეში და ხელებზე ჰქონდათ, ზუსტად ისე, როგორც ეს მოთხრობასა და ფილმში იყო აღწერილი. მეცნიერებმა ვერაფრით ახსნეს, თუ რას შეეძლო გამოეწვია 'მშვიდობისმოყვარე" ფრინველების აგრესიულობა. შემდგომში ქალაქში მსგავსი ფაქტი აღარ განმეორებულა. მართალია, მოსახლეობა კაჭკაჭების ქალაქიდან განდევნას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ – ფრინველები მშვიდობიანად დაფრინავდნენ მათ ირგვლივ.

თავისთავად გაჩნდა შეკითხვები: ნუთუ, ეს ყველაფერი ფილმის ან მოთხრობის გამოძახილი იყო? ან იქნებ აღნიშნული ფაქტი შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ? სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ყოველივე ამის მიზეზი ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ აღძრული ემოციების გამოვლინება უნდა ყოფილიყო, რომელმაც ფსიქიკური ვიბრაციების სახე მიიღო, ამან კი, პირველ რიგში, ფრინველებზე იმოქმედა. ვიბრაციები მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდა ფილმს. ვისაც ეს კინონაწარმოები ნანახი აქვს, დაგვეთანხმება, რომ მშვიდად, ემოციების გარეშე მისი ყურება შეუძლებელია. რაღაც მომენტში ფსიქიკურმა ვიბრაციებმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ზემოქმედება მოახდინა ფრინველებზე და დაიშალა. ასეთმა ზემოქმედებამ კი ფრთოსნებს ცხოვრების ჩვეული წესი შეაცვლევინა. მოგვიანებით ვიბრაცია კრიტიკულ დონეს აღარ აღწევდა. მართალია, ფილმს დღესაც უამრავი მაყურებელი ჰყავს, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, ისინი უკვე "შეჩვეულები" არიან იმას, რაც ეკრანზე უნდა მოხდეს. სწორედ ამიტომ ემოციური მუხტი მართლა არსებობს, მაგრამ არა ისეთი ძალით, როგორიც მაშინ, როცა ფილმი ჯერ კიდევ ახალგამოსული იყო ეკრანებზე; მისი სიუჟეტი კი ბევრისთვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა.

დაფნა დიუ მორიემ თავის მოთხრობაში საკუთარი ემოციები და განცდები ჩადო. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ზემოთ აღწერილი შემთხვევა სწორედ ამიტომ მოხდა ბრიტანეთში. რაც შეეხება ჰიჩკოკს, მან მართლაც კოლოსალური მუხტი დაუმატა ნაწარმოებს (ნებისმიერი შედევრის ზემოქმედებას მასებზე ავტორის ემოციური მდგომარეობა განსაზღვრავს). სპეციალისტები ამბობენ, რომ მოთხრობის მუხტს ჰიჩკოკის დიდი ენერგია დაემატა, რამაც მაყურებელზე ზემოქმედება მოახდინა. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ფრინველების აგრესიულობაში გამოვლინდა. უხეშად რომ ვთქვათ, დაფნა დიუ მორიე და ჰიჩკოკი ამ შემთხვევაში დეტონატორებად მოგვევლინნენ...

სპეციალისტთა აზრით, ეს ერთი კონკრეტული შემთხვევაა, რომელიც იმ უხილავ კავშირებზე მიუთითებს, რაც სამყაროში არსებობს. ზუსტად როგორი მექანიზმით ხორციელდება ეს კავშირები, ჯერაც უცნობია, მაგრამ პარაფსიქოლოგები ავტორებს ურჩევენ, ცოტა სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგან, შესაძლოა, უნებურად ისინი მომავალზეც ახდენდნენ გავლენას. თანაც, რაც უფრო ძლიერი შინაგანი ენერგიითა და ნიჭით იქნება ავტორი დაჯილდოებული, მომავალზე ზემოქმედება მით უფრო გაძლიერდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პარაფსიქოლოგების აზრით, ეს მოვლენა დიდი ხანია ცნობილი უნდა ყოფილიყო კაცობრიობისთვის. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ადამიანებში შემოქმედებითი პოტენციალი ამუშავდა. ალბათ, იმ წესებს თუ რჩევებს, რომლებიც შემოქმედი ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი, რეალური საფუძველიც ჰქონდა. ის ე. წ. 'წითელი მაგიის" სახელით იყო ცნობილი.

გულიკო მიქელაძე.

შავი ზღვა და ლეგენდები

უკვე კარგა ხანია ადამიანები ლეგენდარულ ატლანტიდას ეძებენ. ასევე ხანგრძლივად ცდილობენ ბიბლიური ტექსტების ჭეშმარიტების დადგენას. უამრავი თეორია ჯერაც არ იძლევა საბოლოო, ყოველმხრივ დასაბუთებულ დასკვნებს. რამდენიმე წლის წინათ კი გაჩნდა ახალი ფაქტები, რომლის მიხედვითაც ატლანტიდა შესაძლოა სადღაც შავ ზღვასთან ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, შავმა ზღვამ მნიშვნელოვნად შეიცვალა ფორმა და გამორიცხული არ არის, რომ მისი სანაპიროს დიდი ნაწილი სამუდამოდ ჩაშვებულიყო წყალში.

კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა უილიამ რანმა და უოლტერ ჰიტმა თავის დროზე გამოთქვეს მოსაზრება, რომ შავი ზღვა ოდესღაც სრულიადაც არ იყო ზღვა, ის ჩვეულებრივ მტკნარი წყლის ტბას წარმოადგენდა. კატასტროფული წყალდიდობის შედეგად იგი ხმელთაშუა ზღვას შეუერთდა და ზღვად გადაიქცა. გამორიცხული არ არის, რომ წარღვნის შემდეგ მისი სანაპიროს დიდი ნაწილი აღარ გამოჩენილიყო წყლის ზედაპირზე. ამ მოსაზრების შემოწმება მსოფლიოში ერთერთმა ცნობილმა წყალქვეშა მკვლევარმა რობერტ ბალარდმა გადაწყვიტა. ალბათ, საკმარისია, გავიხსენოთ, რომ ბალარდი ის პიროვნებაა, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა

"ჩაძირული ტიტანიკის" ზუსტი ადგილსამყოფელი.

მიიღო რა თურქეთის მთავრობის ნებართვა, ბალარდი შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამოკვლევას შეუდგა. კვლევებისას ის ულტრათანამედროვე ჰიდროლოკატორებს იყენებდა და ხშირად თვითონაც ეშვებოდა ფსკერზე. ძალიან მალე ბალარდის ხელში თავი მოიყარა ცნობებმა, ლუსკები შავ ზღვაში სულ ცოტა 7000 წლის წინათ ცხოვრობდნენ. ასევე რომელთა მიხედვითაც შავი ზღვა მართლაც მტკნარი წყლის ტბა უნდა ყოფილიყო. ზღვის ფსკერიდან სიღრმისეული სინჯების აღებისას აღმოჩნდა მტკნარი წყლის მოლუსკების და ლოკოკინების ნარჩენები. დანალექი ქანების სისქის ანალიზით კი დადგინდა, რომ ეს მოდადგინდა, რომ წყალქვეშა არეალი, შესაძლოა, ოდესღაც მართლაც წარმოადგენდა ხმელეთის ნაწილს. ბალარდს ეჭვი არ ეპარება, რომ კატასტროფის მიზეზი წყალდიდობა უნდა ყოფილიყო, რომელიც სავარაუდოდ 40 წელი გრძელდებოდა. ასე რომ, ბალარდის კვლევები ერთგვარად ბიბლიურ წარღვნასაც ეხმაურება. უკვე კარგა ხანია, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ბიბლიური 40-დღიანი წარღვნა 40 წელს უნდა გაგრძელებულიყო. ბალარდის კვლევამ ამ მოსაზრებას კიდევ ერთი არგუმენტი შემატა.

დაწვრილებითი კვლევები მან აშშ-ის ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოების ყრილობას წარუდგინა, საბოლოო პასუხების მისაღებად კი განზრახული აქვს კვლევების გაგრძელება. "ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, – განაცხადა ბალარდმა, – შავი ზღვა ოდესღაც ჩაკეტილი მტკნარი წყლის ტბა იყო და წყალდიდობა, რომლის შედეგადაც ის ხმელთაშუა ზღვას შეუერთდა, სავარაუდოდ 40 წელი გრძელდებოდა".

მეცნიერის ეს დასკვნა, ერთი შეხედვით, ძალიან მცირე, თუმცა მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მომდევნო კვლევებმა ახალი, სენსაციური აღმოჩენები წარმოაჩინოს.

მერი მისხელაშვილი.

"ფრთიანი ფრაზები"

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" დამსახურებულ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით რუბრიკის სტუმარი.

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ფოტოები.



გამოგვეხმაურეთ! ფეისბუკ ციტატა

ჩარლი ჩაპლინი 88 წელი ცხოვრობდა.

მან 4 განცხადება დატოვა:

(1) არაფერია სამუდამო ამ სამყაროში, თუნდაც ჩვენი პრობლემები.

(2) მიყვარს წვიმაში სიარული, რადგან ვერავინ ხედავს ჩემს ცრემლებს.

(3) ცხოვრებაში ყველაზე დაკარგული დღე არის ის დღე, როდესაც არ იცინი.

(4) მსოფლიოს ექვსი საუკეთესო ექიმი:
1. მზე,
2. დასვენება,
3. ვარჯიში,
4. დიეტა,
5. თავმოყვარეობა,
6. მეგობარი.

შეინარჩუნე ისინი შენი ცხოვრების ყველა ეტაპზე და ისიამოვნე ჯანსაღი ცხოვრებით...

თუ მთვარეს ხედავ, ღმერთის სილამაზეს ნახავ...

თუ მზეს ხედავ, ღმერთის ძალას ნახავ...

თუ სარკეს ხედავ, ღმერთის საუკეთესო ქმნილებას ნახავ. ასე რომ დაიჯერეთ.

ჩვენ ყველა ტურისტი ვართ, ღმერთი არის ჩვენი მოგზაურობის აგენტი, რომელმაც უკვე განსაზღვრა ჩვენი გზები, ჯავშანი და მიმართულებები... ენდეთ მას და დატკბით ცხოვრებით.

ცხოვრება მხოლოდ მოგზაურობაა! ასე რომ იცხოვრე დღეს!

ბრწყინვალე ჩაპლინი, ოქროს სიტყვები ყველა დროის განმავლობაში - ხვალ შეიძლება არ იყოს, იცხოვრე დღეს!

ფოტო მატიანე

,,ახალი გვნთიავლი,, იძიებს ყველინერიდან ყურადღებას რუბრიკის ყველგან ფოტო-მასალის შეგროვებას. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - ოჯახებთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ გვნოლილი ცხოვრების ამსახველი, ისტორიის შემნახველი, წინაპრების ცხოვრების ამსახველი ყველანერიდან ან ყველისანი ფოტოები!

ერთად გავიხსენოთ როგორ ცხოვრობდნენ, როგორ ვცხოვრობდით ...

მეხუთე დრო

რუბრიკა - ნელინადის მეხუთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (ნარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გაგაცანით ისინი საზოგადოებას.

თუ მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვურდიოლობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს არ სურთ იცოდეთ! რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე...

მაშ ასე, გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაველოდეთ პასუხს. შეხვედრამდე!

,,კეხურა,,

ქალაქ ქასპის საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეები: ლალი მილაძე, დალი კოტეტიშვილი, თამარ ხოკრიშვილი, თეა ქუტაშვილი სამძიმარს უცხადებენ ქასპის №1 ბაღის გამგეს მზია ჭაღიაშვილს მამის

რობინზონ ჭაღიაშვილის გარდაცვალების გამო.

ნანა და გიო მერებაშვილები თანაუგრძნობენ მზია ჭაღიაშვილს მამის

რობინზონ ჭაღიაშვილის გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ გაზეთი ,,ახალი გვნთიავლი,,!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76